KA030146369936919

**№ 01-3059** **28 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

## მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციის (EASL) მიერ მიმდინარე წლის 10-14 აპრილს ავსტრიაში, ქ. ვენაში ტარდება ღვიძლის საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესში მონაწილეობის მიზნით, საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში ასევე გათვალისწინებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას კანდიდატურა.

ღონისძიების ფარგლებში, ღვიძლის დაავადებების შემსწავლელი ევროპის ასოციაციისა და აშშ დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების ერთობლივი ორგანიზებით 11 აპრილს დაგეგმილია C ჰეპატიტის ელიმინაციის მიმართულებით ქვეყნის მიერ მიღწეული შედეგების თაობაზე საქართველოსადმი მიძღვნილი სესია, ასევე, ვირუსული ჰეპატიტების ელიმინაციის მიმართულებით საქართველოსათვის “Centre of Excellence”-ის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული ღონისძიება.

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გლობალური ფონდის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მინისტრის მოადგილის სამივლინებო ხარჯების (მგზავრობა, სასტუმრო, დღიური ნორმა) ანაზღაურება.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი თამარ გაბუნიასთვის 2019 წლის 10 აპრილიდან 13 აპრილის ჩათვლით და დღიურ ნორმაზე დანამატის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია